პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1977 კვირა 7 აგვისტო № 183 (16923) ფასი 2 კაპ. 1977

7 აგვისტო რკინიგზელის საკავშირო დღე

ამიერკავკასიის მაგისტრალის მშრომელები თავიანთ ტრადიციულ დღესასწაულს წლეულს დიდი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში აღნიშნავენ. იგი გამოწვეულია საბჭოთა ხალხის მზადებით დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისთვის, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვით.

წელს მეორე კვარტალის მუშაობის შედეგების მიხედვით გზის კოლექტივი დააჯილდოვეს სსრ კავშირის გზათა სამინისტროსა და რკინიგზის ტრანსპორტის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

დღესასწაულს გილოცავთ სახელოვანო რკინიგზელებო!

ხურათებზე: ხაშურის სალოკომოტივო დეპოს მოწინავე ადამიანები. მარცხნიდან წინა რიგში — დ. გერმანაშვილი, მ. ლონღლაძე, ჯ. კიკნაძე; ზემოთ — თ. გოგნგლაძე და ბ. გოგბალაძე.
ო. არობელიძის ფოტო.

გაპაძლიერეთ სახალხო კონტროლის როლი

საბჭოთა ადამიანები აქტიურად და დაინტერესებით განაგრძობენ სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვას. ძირითადი კანონის თანახმად მშრომელებმა კიდევ უფრო ფართო მონაწილეობა უნდა მიიღონ საზოგადოებისა და სახელმწიფოს საქმეების მართვაში, კერძოდ, კიდევ უფრო გააძლიერონ სახალხო კონტროლი. პროექტის 91-ე მუხლში ნათქვამია: სახალხო დეპუტატთა საბჭოები ქმნიან სახალხო კონტროლის ორგანოებს, რომლებიც სახელმწიფო კონტროლს უხამებენ მშრომელთა საზოგადოებრივ კონტროლს. სახალხო კონტროლის კომიტეტები, ჯგუფები და საგუშაგოები კონტროლს უნდა უწევდნენ გეგმებისა და დავალებების შესრულებას, ებრძოდნენ სახელმწიფო დისციპლინის დარღვევებს, საქმისადმი კუთხური და უწყებრივი მიდგომის გამოვლინებებს, უყაირათობასა და მფლანგველობას, საქმის გაჭიანურებასა და ბიუროკრატიზმს, ხელს უწყობდნენ სახელმწიფო აპარატის მუშაობის სრულყოფას.

ეხლიდან ფართო უფლებები ბევრ რამეს გვავალებს, აღნიშნავენ თავიანთ გამოსმაურებებში „პრავდაში“ მკითხველები. „ძალიან სწორია, რომ სახალხო კონტროლის ორგანოების საქმიანობა კონსტიტუციით იქნება განმტკიცებული, — წერს ყარაღანდის კოსტენკოს სახელობის მაღაროს ზეინკალი ხ. დიუსემბინი. — ჩვენ, კონტროლიორები. ყველაფერს ვიღნებთ, რომ გავამართლოთ პარტიისა და სახელმწიფოს ნდობა“.

კონტროლიორთა მრავალმილიონიანი არმიის თვალთახედვის არეშია ხუთწლედის მთავარი ამოცანები, განსაკუთრებით აქტუალური პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია შრომითი კოლექტივების მუშობის ეფექტიანობასთან და ხარისხთან. მაგალითად, ნელიაბინსკის ოლქში სახალხო კონტროლის კომიტეტები და ჯგუფები დაინტერესდნენ, თუ როგორ იყენებენ მეტალურგიულ საწარმოებში რკინამადნეულ ნედლეულს. მასობრივი შემოწმების მასალები განიხილეს მუშათა კრებებმა, პარტიულმა კომიტეტებმა და ხელმძღვანელებმა. და აი შედეგი: ნარჩენების რაციონალური გამოყენებისა და დანაკარგების შემცირების წყალობით ერთ წლიწადში თითქმის 8 მილიონი მანეთის ნედლეული დაიზოგა.

სოფლის სახალხო კონტროლიორები აქტიურად მონაწილეობდნენ მინერალური სასუქების შენახვისა და ეფექტიანი გამოყენების დათვალიერების საკავშირო რეიდში და ხელი შეუწყვეს ამ საქმეში ბევრი ხარვეზის აღმოფხვრას. დაიწყო მკა, და კონტროლიორები კვლავ იმათ ავანგარდში არიან, ვინც ხუთწლედის მეორე წლის უხვი მოსავლისათვის იბრძვის. მოსავლის აღებაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ყუბანელმა სახალხო კონტროლიორებმა. აქ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სამი ათასზე მეტი დროებითი საგუშაგო და 700 სარეიდო ბრიგადა შეიქმნა. მათი მეცადინეობის შედეგად მკვეთრად შემცირდა პურის დანაკარგები, მწყობრად მუშაობს კონვეიერი კალო-ელევატორი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის მაისის პლენუმზე გამოსვლისას ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა: „...ახალმა კონსტიტუციამ მნიშვნელოვნად უნდა გააუმჯობესებინოს მუშაობა ყველა ორგანოს, რომლებსაც საბჭოთა კანონების მოთხოვნათა ზუსტად დაცვის უზრუნველყოფა ევალებათ. მე ვგულისხმობ პროკურატურას, სახამართლოს... სახალხო კონტროლს. პარტია მოელის, რომ ყველა ეს ორგანო კიდევ უფრო მეტ ინიციატივას, პრინციპულობას, შეურიგებლობას გამოიჩენს საბჭოთა მართლწესრიგის ყოველგვარი დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლაში“.

სახალხო კონტროლიორები უფრო ღრმად უნდა გაერკვნენ საქმის ვითარებაში, გააკრიტიკონ არამარტო სახელმწიფო დისციპლინის დამრღვევები, არამედ ისინიც, ვინც რეზერვებს არ იყენებს, თვითდამშვიდებასა და კონსერვატიზმს იჩენს. ამ სახელმწიფო მნიშვნელობის მუშაობაში კონტროლიორებს უფლება აქვთ მოითხოვონ პარტიის ყოველდღიური მხარდაჭერა. მაგრამ ჯერ კიდევ გვხვდებიან ხელმძღვანელები, რომლებიც დაბრკოლებებს უქმნიან აქტივისტებს. ამ ცოტა ხნის წინათ „პრავდამ“ გიამბოთ, რა დიდხანს და დაუჯერებლად ანაავებდნენ პროდუქციას ბელგოროდის ოლქის ვოლოკონოვკის შაქრის ქარხანაში. სახალხო კონტროლიორებმა სცადეს აღეკვეთათ დარღვევები, მაგრამ საწარმოს ადმინისტრაციამ და პარტიულმა ბიურომ მხარი არ დაუჭირა მათ. მხოლოდ სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის ჩარევამ მოუღო ბოლო ბოროტმოქმედებას.

ამგვარი ფაქტები განსაკუთრებით შეუწყნარებელია ახლა, როცა მოქალაქეებს კონსტიტუციით უფლება აქვთ სახელმწიფო ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში შეიტანონ მათი საქმიანობის გაუმჯობესების წინადადებანი, გააკრიტიკონ ნაკლოვანებანი, აგრეთვე იჩივლონ თანამდებობის პირთა მოქმედების გამო. ეს გულისხმობს, რომ მომთხოვნელობა და პასუხისმგებლობა უნდა გაიზარდოს სახელმწიფო აპარატის და სახალხო კონტროლის ყველა რგოლში, მაღალი პრინციპულობა და პარტიული მიდგომა გამოვიჩინოთ ამ საქმეში.

ადგილებზე მდგომარეობის შესახებ დროული და ობიექტური ინფორმაცია კონტროლის ეფექტიანობის უცილობელი პირობაა. ასეთი ინფორმაციის დიდმნიშვნელოვანი წყაროა მშრომელთა შენიშვნები, რეკომენდაციები და წინადადებანი. მარტო უკანასკნელი ორი წლის მანძილზე სახალხო კონტროლის კომიტეტებმა 575 ათასამდე წერილი განიხილა. გაუმჯობესდა მოქალაქეთა განცხადებების საფუძველზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმება. მაგრამ „პრავდის“ ფოსტა მოწმობს, რომ ზოგჯერ მიღებულ სიგნალებს ფორმალურად ეკიდებიან. ზოგიერთ კომიტეტში არ ასრულებენ წერილების აღრიცხვის წესს, ჯეროვნად არ ზრუნავენ საჩივრებისა და წინადადებათა ბიუროს განმტკიცებისათვის, იშვიათად იხილავენ სიგნალების შემოწმების შედეგებს. მაგალითად, კუიბიშევის სახალხო კონტროლის საოლქო კომიტეტს გასული ორი წლის მანძილზე წერილებზე მუშაობის შესახებ საქალაქო თუ რაიონული კომიტეტების არც ერთი ინფორმაცია არ განუხილავს.

ძირითადი კანონის პროექტის დებულება სახალხო კონტროლის გაძლიერების შესახებ მოითხოვს კვლავაც სრულყოფილ კონტროლიორთა ჯგუფებისა და საგუშაგოების საქმიანობა, უფრო შედეგიანი, მასობრივი და საჭარო გავხადოთ იგი. საჭიროა განვავითაროთ სახალხო კონტროლის ორგანოების საქმიანი კავშირურთიერთობა საბჭოების მუდმივ კომისიებთან, „კომკავშირულ პროექტორთან“, პროფკავშირის აქტივთან. შემოწმებებში დეპუტატთა მონაწილეობა, სესიებსა და აღმასკომის სხდომებზე ამ შემოწმებათა შედეგების განხილვა ხელს უწყობს ერთობლივი აქციების წარმატებას, კონტროლიორთა ავტორიტეტის ზრდას. პარტიული ორგანიზაციების ვალია ყოველდღიურად წარმართონ ერთიან კალაპოტში ეს მრავალმხრივი მუშაობა, იბრძოლონ მიხი ნაყოფიერებისათვის.

წელიწად-ნახევარი გავიდა კონტროლიორთა ჯგუფებისა და საგუშაგოების მორიგი არჩევნების შემდეგ. როგორ ართმევენ ისინი თავს თავიანთ ამოცანებს, რა არის ახალი მათ საქმიანობაში, რა სიძნელეები ექმნებათ? სწორად იქცევიან ის პარტიული კომიტეტები, რომლებიც შეუნელებელ ყურადღებას უთმობენ ამ საკითხებს. უფრო ფართოდ უნდა გამოვიყენოთ პრაქტიკაში კონტროლიორთა ანგარიში შრომითი კოლექტივების წინაშე, პარტიულ კრებებზე განვიხილოთ შემოწმებისა და რეიდების შედეგები.

სახალხო კონტროლი სოციალისტური დემოკრატიის განუყოფელი რგოლია. მაშ, დაე, უფრო აქტიურად მოქმედებდეს ეს დიდი საზოგადოებრივი ძალა და ხელს უწყობდეს სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებას, დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის ღირსეულ შეხვედრას.

ПРАВДА 6 აგვისტოს მოწინავე

საბჭოთა საქართველოს საოქტომბრო მაჯისცემა

მენავთობეთა წარმატება

თბილისი. („კომუნისტის“ კორ.). ხუთწლედის მეორე საიუბილეო წელს თავდადებული შრომით დღითიდღე ახალ-ახალ ზეღუდეებს იღებს საწარმოო გაერთიანება „საქნავთობის“ (გენერალური დირექტორი სოციალისტური შრომის გმირი რ. თევზაძე) კოლექტივი. ქართველ მენავთობეთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ შვიდი თვის გეგმა ჯერ კიდევ ერთი თვით ადრე — პირველი ივლისისათვის შეასრულეს. იანვარ-ივლისის გეგმით მათ ასობით ათასი ტონა ნავთობი უნდა ამოეღოთ, რომელსაც ოპერატიული დავალებით და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებით უნდა დამატებოდა 148 ათასი ტონა. ქართველმა მენავთობეებმა არა მარტო სახელმწიფო გეგმა, არამედ ნაკისრი ვალდებულებაც პირნათლად და დიდი გადაჭარბებით შეასრულეს.

დროს უსწრეგს

თბილისი. („კომუნისტი“ კორ.). დამკვრელურად შრომობს ბრიგადა საწარმოო გაერთიანების მეთაურ საწარმოში სკკპ XXV ყრილობის დელეგატი, მესამე ხარისხის დიდების ორდენსანი ციცა კილსონია. მან მეათე ხუთწლედის დამდეგს იკისრა ხუთწლიანი გეგმის სამწელიწად-ნახევარში შესრულება. ამჟამად ციცა მომავალი წლის ანგარიშში მუშაობს. დროს ეხარა თვით ჭუსწრებს და, რაც მთავარია, მის მიერ გამოშვებული პროდუქციის 99 პროცენტი პირველი ხარისხისაა.

მეცხოველეთა შემჯიბრება

გამარჯვებულნი

შეჯამდა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფო შესყიდვისათვის რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების 1977 წლის პირველი ნახევრის შედეგები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფსაბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა სოციალისტურ შეჯიბრებაში ამ პერიოდის მუშაობის შედეგების მიხედვით გამარჯვებულად ცნეს:

პირველ ზონაში

ბურჯანის რაიონი, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა, **მარნეულის რაიონი** — მეორე ადგილი.

მეორე ზონაში

ხაშურის რაიონი — მეორე ადგილი.

მესამე ზონაში

დმანისის რაიონი — პირველი ადგილი.

მეოთხე ზონაში

ცაგერის რაიონი — პირველი ადგილი, **მესტიის რაიონი** — მეორე ადგილი.

მეხუთე ზონაში

მაიაკოვსკის რაიონი — პირველი ადგილი, **საჩხერის რაიონი** — მეორე ადგილი.

მეექვსე ზონაში

ჩხოროწყუს რაიონი — პირველი ადგილი, **მახარაძის რაიონი** — მეორე ადგილი, **ცხალაციას რაიონი** — მესამე ადგილი.

მეშვიდე ზონაში

ქ. ბაგრა — პირველი ადგილი, **ხელვაჩაურის რაიონი** — მეორე ადგილი, **გალის რაიონი** — მესამე ადგილი.

ითქმა გამო, რომ მეცხოველეთა სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამების დროს მხედველობაში მიიღება უწინარეს ყოვლისა მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის გეგმის შესრულება, პირველ ზონაში მესამე ადგილი, მეორე ზონაში — პირველი და მესამე ადგილები, მესამე ზონაში — მეორე და მესამე ადგილები, მეოთხე და მეხუთე ზონებში — მესამე ადგილები არავის არ მიენიჭა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფსაბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინეს, რომ წარმოების მოწინავენი, სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულნი თითოეული რაიონის მიხედვით დაჯილდოდდნენ საჩუქრებით, მათ შორის:

პირველ ადგილებზე გამოსულ რაიონებში — ტელევიზორებით, მეორე და მესამე ადგილებზე გამოსულ რაიონებში — საათებით.

პირველ ადგილზე გამოსულმა რაიონებმა უნდა წარმოადგინონ საუკეთესო მოწინავე კოლექტივის (მეურნეობის, კომბინატის, გაერთიანების, მეფრინველეობის ფაბრიკის, ბრიგადის, განყოფილების) თითო კანდიდატურა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სასპატიო სიგელით დაჯილდოებისათვის, აგრეთვე სოციალისტური შეჯიბრების მოწინავის თითო პორტრეტი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე შრომითი დიდების ხეივანში საპატიო დაფაზე გამოფენისათვის.

სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტს წინადადება მიეცა პირველ ადგილებზე გამოსული რაიონებისათვის გამოყოს სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების 40 საგზური მეცხოველეობის შეჯიბრებაში გამარჯვებულთა დასაჯილდოებლად.

ცეკავშირის გამგეობას დაეკალა გამოყოს 56 მსუბუქი ავტომობილი და 42 ავეჯის გარნიტური (4-5 ავტომობილი და 3 ავეჯის გარნიტური საპრიზო ადგილზე გამოსული თითოეული რაიონისათვის) და მომდინარე წლის 15 აგვისტომდე გადასცეს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს მეცხოველეთა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულებისათვის რიგგარეშე მისაყიდად. (საქინფორმი).

ᲠᲔᲙᲘᲜᲘᲒᲖᲔᲚᲗᲐ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ

მოსკოვი. 5 აგვისტოს გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელიც რკინიგზელის საკავშირო დღეს მიეძღვნა.

პრეზიდიუმში იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ა. პ. კირილენკო, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მ. ა. ლესეჩკო, საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე ა. ი. შიბაევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის განყოფილების გამგე კ. ს. სიმონოვი, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, ფოლადის მაგისტრალების მოწინავე მშრომელები, დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

მოხსენება გააკეთა გზათა მინისტრმა ი. გ. ბავლოვსკიმ.

ცაზეიმო სხდომის მონაწილეებმა მისასალმებელი წერილი გაუგზავნეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს.

თბილისი. 5 აგვისტოს რკინიგზელის სახლში გაიმართა საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა რკინიგზელის სრულიად საკავშირო დღეს.

კრების სამპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ი. ი. ქედიშვილმა გულითადად მიულოცა შეკრებილთ დღესასწაული და ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსს გ. ი. ქადაგიძეს გადასცა სსრ კავშირის გზათა სამინისტროს და რკინიგზის ტრანსპორტის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა, რომლითაც მაგისტრალის კოლექტივი დაჯილდოდდა მიმდინარე წლის მეორე კვარტალის მუშაობის შედეგების მიხედვით სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული წარმატებებისათვის.

კრებაზე მოხსენება გააკეთა ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსმა გ. ი. ქადაგიძემ.

ᲑᲐᲥᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲧᲐᲚᲘᲓᲐ

საკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწვევით საბჭოთა კავშირში დასასვენებლად ჩამოვიდა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ტოდორ ჟივკოვი.

პარტიული ორგანოების აქტიური თანაშემწენი

პარტიული კომისიების თავმჯდომარეთა თათბირ-სემინარი

საკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში პარტიის XXV ყრილობისადმი, რომელს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა გააკეთა, აღინიშნა, თუ რა განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კომუნისტური მშენებლობის გეგმების შესრულებისათვის კარგად ორგანიზებულ შესრულების კონტროლსა და შემოწმებას. ყრილობამ ხაზი გაუსვა ამ მიმართულებით სერიოზულ მუშაობას, რომელსაც ეწევიან სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტი და ადგილობრივი პარტიული ორგანოების პარტიული კომისიები. ეს მაღალი შეფასება მათთვის შთამაგონებელი სტიმული იყო მუშაობაში. შესაძლებელი გახადა, კერძოდ, ჩვენს რესპუბლიკაში ერთგვაროვან გაფტურებულიყვნენ პარტიული კომისიები იმ თანამიმდევრულ და მტკიცე ბრძოლაში, რომელსაც საქართველოს პარტიული ორგანიზაცია ეწევა თავისი რიგების სიწმინდისა და შეკავშირებისათვის, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისათვის, ყველა კომუნისტის მიერ პარტიის საწესდებო მოთხოვნების დაცვისათვის. პარტიული კომისიების საქმიანობის სფეროს გაფართოებას, აქტივის მიზიდვას, მათი მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებას ხელს უწყობს მასების პოლიტიკური და შრომითი აქტიურობის ამაღლების ის ატმოსფერო, რომელიც მიმდინარეობს დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისათვის მზადება და სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა.

(დასასრული მე-2 გვ.).

საინფორმაციო ცნობა

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

6 აგვისტოს თბილისში გაიმართა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

პლენუმმა ამხ. ვ. გ. ბაქრაძე გაათავისუფლა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნისა და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგის მოადგილედ დამტკიცებასთან დაკავშირებით.

ამხ. ვ. გ. ბაქრაძეს კომკავშირში დიდი და ნაყოფიერი მუშაობისათვის გადაეცა ლენინური კომკავშირის საპატიო ჯილდოები.

პლენუმმა ცნობად მიიღო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციის რიცხობრივი ზრდის გამო სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილებით საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის აპარატში დამატებით შემოღებულია საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნის საშტატო ერთეული.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნად პლენუმმა აირჩია ამხ. ა. ორჯონიკიძე, რომელიც საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნად მუშაობდა.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნად და ბიუროს წევრად არჩეულია ამხ. მ. ა. ასლანიკაშვილი, რომელიც საქართველოს კომპარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგედ მუშაობდა.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნად და ბიუროს წევრად არჩეულია ამხ. ვ. ი. კადენეცი, რომელიც საქართველოს კომპარტიის სოხუმის რაიონული კომიტეტის მდივნად მუშაობდა.

პლენუმზე კომკავშირულ მუშაკთა ჯგუფს გადაეცა სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო ჯილდოები.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგის მოადგილე ამხ. მ. მ. დანელია.

(საქინფორმი).

საოქტომბრო ვახტაზეა მთელი საბჭოეთი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი ერთიანი საკავშირო მრავალეროვანი სახელმწიფოა, რომელიც ერების თავისუფალი თვითგამორკვევისა და თანასწორუფლებიანი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ნებაყოფლობითი გაერთიანების შედეგად შეიქმნა.

სსრ კავშირი განასახიერებს საბჭოთა ხალხის სახელმწიფო ერთიანობას. აკავშირებს ყველა ერსა და ეროვნებას კომუნიზმის ერთობლივი მშენებლობის მიზნით.

სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტიდან.

ᲔᲠᲗᲘᲐᲜ ᲥᲕᲣᲠ ᲥᲕᲐᲨᲘ

1. ᲚᲐᲢᲕᲘᲐ

ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელები დიდი ოქტომბრის მესამოცე წლისთავისათვის მზადების ამ დღეებში ფართოდ განიხილავენ და იწონებენ სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტს, კისრულობენ ახალ ვალდებულებებს წლიური დავალების ვადამდე შესრულებისათვის. წლიური გეგმა — საოქტომბროდ, ყოველი დღე დამკვრელური! — ასეთია მათი შრომის დევიზი.

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის თხოვნით რესპუბლიკის ცხოვრების ამსახველი მასალები მოამზადეს გაზეთ „სოვეტსკაია ლატვიას“, აბრეთვე საკავშირო კორესპონდენტებმა. ეს მასალები იხილეთ გაზეთის მეორე გვერდზე.

რიგა. ყოველწლიურად ათეულ ათასობით ადამიანი მოდის ლატვიელ წითელ მსროლელთა მემორიალის დასათვალიერებლად. აქ ხშირად ნახავთ ვეტერანებს — რევოლუციის და სამოქალაქო ომის მონაწილეებს. ამ ხურათზე ერთ-ერთი ასეთი მომენტია ასახული.

მემორიალს ესტუმრნენ ყოფილი ლატვიელი მსროლელები ედუარდ სმილგა (მარცხნივ), რომელიც ვ. ი. ლენინის მცველი იყო სმოლნში, და ჟანის ლაგზდინში. საპატიო სტუმრებს ახალგაზრდობა შეეგება.

საკ.ᲔᲡᲘᲡ ფოტოკორონიკა.

პარტიული ორგანოების აქტიური თანაშემწენი

(დასასრული)

სკკპ XXV ყრილობის შემდეგ განვლილ პერიოდში საქართველოს პარტიული ორგანოების პარტიულ კომისიათა მუშაობის ანალიზს, მათი გამოცდილების განზოგადებას, მათი საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებათა შემუშავებას მიეძღვნა საქართველოს პარტიული ორგანოების პარტიული კომისიების თავმჯდომარეთა რესპუბლიკური თათბირ-სემინარი, რომელიც 5 აგვისტოს გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში. მასში მონაწილეობდნენ პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნები, პარტიული კომიტეტების ორგანიზაციული განყოფილებათა გამგეები, პრესის მუშაკები.

თათბირ-სემინარი გაუსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ამხ. გ. ვ. კოლბინმა. მის მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხ. ი. ს. გუსტოვი, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ო. ნ. მენთეშაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე ამხ. ს. ე. ხაბეიშვილი.

მოხსენება საქართველოს პარტიული ორგანოების პარტიულ კომისიათა მუშაობის პრაქტიკის და სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მათი საქმიანობის ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების ღონისძიებათა შესახებ გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კომისიის თავმჯდომარემ ამხ. შ. ე. ყარყარაშვილმა.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობდნენ ბორის ბამბეულის კომბინატის პარტიული კომიტეტის მდივანი ამხ. ლ. გ. გელაშვილი, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტთან არსებული პარტიული კომისიის თავმჯდომარე ამხ. ვ. ლ. ოსსავა, პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტთან არსებული პარტიული კომისიის თავმჯდომარე ამხ. გ. ა. ღლასამიძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის ოქტომბრის რაიკომის პირველი მდივანი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კომისიის თავმჯდომარე ამხ. ი. ბ. ბაბალოვი, საქართველოს კომპარტიის მარნეულის რაიკომთან არსებული პარტიული კომისიის თავმჯდომარე ამხ. ი. კ. ქერიმოვი, საქართველოს კომპარტიის თელავის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ა. ე. კობაძე.

მომხსენებლებმა და კამათის მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ პარტიული კომისიების საქმიანობის ეფექტიანობას განსაზღვრავს მათდამი იმ პარტიული კომიტეტების ხელმძღვანელობის დონე, რომელთა შემადგენელ ნაწილსაც ისინი წარმოადგენენ. ბევრი რამ არის დამოკიდებული თვით პარტიული კომისიების ინიციატივაზე, მათ უნარზე დაინახონ ფაქტები არა იზოლირებულად, არამედ მათ მიზეზობრივ-შედეგობრივ კავშირში. პარტიული კომისიების მიერ სპეციალური დროს განხილულ საკითხთა ნუსხა მოწმობს, რომ ისინი თავიანთ მუშაობაში გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებენ შესრულების კონტროლსა და შემოწმებას, ეძებენ და პოულობენ საერობოროტო თემებს. იციან გაანალიზება, ცალკეული ფაქტებიდან განზოგადებული დასკვნების გამოტანა.

ადგილობრივ პარტიულ კომისიებს, აღნიშნეს ორატორებმა, არ შეუძლიათ, უფლება არა აქვთ დარჩნენ გულგრილნი, გვერდი აუარონ საბჭოთა კანონებს, სახელმწიფო დისციპლინის, სოციალისტური მორალის რაიმე დარღვევის ფაქტებს. პარტიულ კომისიას ყველა საქმე ეხება. მისთვის ორგანულად უცხოა პარტიული ცხოვრების ნორმებიდან უმნიშვნელო გადახვევის დროსაც კი ჩაურეველობის პოზიცია. ყველაფერში, რაც კი ზიანს აყენებს პარტიას, იგი უნდა ერეოდეს, არ ელოდებოდეს სპეციალურ მითითებებსა და უფლებამოსილებას. პარტიული კომისიები ღონეადაგ უნდა ზრუნავდნენ, რომ ყველა კომუნისტი განუხრელად იცავდეს პარტიის წესდებას — ჩვენს პარტიულ კანონს.

სიამაყით აღინიშნა, რომ რუსთაველთა თაოსნობამ — „არც ერთი ჩამორჩენილი და ულისციპლინო — ჩვენს გვერდით!“ — ფართო გაქანება შეიძინა, მილიონთა სამეგობრო გახდა, რომ პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის და თბილისის პირველი მაისის რაიკომის ინიციატივამ — „იმუშაო ჩამორჩენილი საწარმოების გარეშე“ — უკვე გამოიღო ნაყოფი, რომ ჩვენმა მეჩაიეებმა იკისრეს სამატყეო ვალდებულება წელს გადაეჭარბონ ჩაის ფოთლის კრეფაში 400 ათას ტონიან მიჯნას. ასეთი რამ ჯერ არასოდეს არ ყოფილა!

პარტიული ორგანოების პარტიულ კომისიებს მიეცათ რეკომენდაციები აქტიურად ჩაერთონ საწარმოო ცხოვრებაში, მშენებლობის საკითხებში, მაგრამ ისე, რომ არ „გასწონან სამეურნეო ხელმძღვანელთა მაგივრობა. პარტიული კომისიები მოვალენი არიან ავრეთვე აქტიურად ჩაებნენ ბრძოლაში ყოველგვარ ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებათა წინააღმდეგ. აღინიშნა, რომ ბევრი პარტიული კომისიის მუშაობის გეგმებში აისახა ისეთი საქმიანობოროტო პრობლემები, როგორიცაა შრომისა და სახელმწიფო დისციპლინის მდგომარეობა, სოციალისტური საკუთრების დაცვა, ბრძოლა ლოთობისა და ფრთხილანი ხულიგნობის წინააღმდეგ, ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების მდგომარეობა. — მაგრამ ეს საკითხები, აღნიშნეს ორატორებმა, ჯერ კიდევ ბევრ შემთხვევაში მხოლოდ გეგმებშია რჩება.

პარტიულ კომისიათა მნიშვნელოვანი ამოცანაა, აღნიშნეს გამოსულებმა, თითოეულ კომუნისტს ჩაუნერგონ ნამდვილი ბოლშევიკური აქტიურობა. საჭიროა ავრეთვე ისე მოვაწყოთ მუშაობა, რომ თითოეულ შრომითს კოლექტივში, თითოეულ პარტორგანიზაციაში შეიქმნას მაღალი ამოცანების, დაწვრილებით ილაპარაკი ამაზე. თუ რა დიდ და ნაყოფიერ მუშაობას ეწევა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტი პარტიის XXV ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის.

ამხ. ი. ს. გუსტოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ნაყოფი გამოიღო მნიშვნელოვანმა მუშაობამ, რომელიც საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციამ გასწია, რათა განმტკიცებინა პარტიული და სახელმწიფო დისციპლინა, გაეუმჯობესებინა შესრულების კონტროლი და შემოწმება, აემაღლებინა კომუნისტთა პასუხისმგებლობა. აღმოეფხვრა ნეგატიური მოვლენები, გაეძლიერებინა ბრძოლა პროტექციონიზმის, მავნე ზნეჩვეულებების წინააღმდეგ. გაეუმჯობესებინა მთელი ორგანიზაციულ-პარტიული და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა. მან ხელი შეუწყო მშრომელთა აქტიურობის მნიშვნელოვან ამაღლებას, ოქტომბრის მე-60 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის სოციალისტური შეჯიბრების განაღებას, მეათე ხუთწლედის პირველი წლინახევრის დავალებებისა და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას.

ამხ. ი. ს. გუსტოვმა აღნიშნა, რომ რესპუბლიკის პარტიული ორგანოების პარტიულ კომისიათა საქმიანობის სფერო უკანასკნელ ხანს გაფართოვდა და ეს საქმიანობა კი უფრო ეფექტიანი გახდა. ამასთან მან აღნიშნა მთელი რიგი გადაუწყვეტელი ამოცანები, ნაკლოვანებანი და სხვ.

თათბირ-სემინარი, თქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ამხ. გ. ვ. კოლბინმა, როცა მისი მუშაობის შედეგები შეაჯამა, აქ გამოთქმული რჩევა, სურვილები, წინადადებები და შენიშვნები ჩვენს პარტიულ ორგანოებს დაეხმარება კვლავაც სრულყონ მუშაობის ფორმები და მეთოდები, აამაღლონ თავიანთი საქმიანობის ეფექტიანობა, რათა პარტიული კომისიები პარტიული კომიტეტების ნამდვილი თანაშემწენი გახდნენ პარტიული რიგების სიწმინდისა და სიმტკიცისათვის, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის, ყველა კომუნისტის მიერ სკკპ პროგრამისა და წესდების მოთხოვნების დაცვისათვის ბრძოლაში.

თათბირ-სემინარის მონაწილეთა წინაშე ინფორმაციები გააკეთეს და მათთვის საინტერესო კითხვებზე უპასუხეს სახალხო კონტროლის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ო. ვ. მელქაძემ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ პატიუელი არქვეის დარგში ამხ. ე. გ. ქურციკიძემ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სექმეთა მმართველის მოადგილემ ამხ. მ. ა. წერეთელმა. (საინფორმაციო).

ჩვენი ცხოვრების ძირითადი კანონი

სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის განთიადთა საგაზეთო მასალა

კომუნისტთა გულისთქმა

ნეოლინს შექმთ განთიადულ სამკერვალო საამქროს ვრცელ დარბაზში, სადაც ერთმანეთზე მიყოლებით ჩამწკრივებულია ახალი საკერავი მანქანები, მამდინარეობს ადგილობრივი მრეწველობის დუშეთის კომბინატის პარტიული ორგანიზაციის ღია კრება, რომელსაც სამოცზე მეტი კაცი ესწრება. კრება განიხილავს საკითხს — სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტი და პარტიული ორგანიზაციის ამოცანები. მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო ცხრა ამხანაგმა. კრებას წითელ ზოლად გასდევდა აზრი, რომ კონსტიტუციის პროექტი ყველას ეხება, რომ მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს თითოეული ჩვენგანის პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის, რომ ჩვენი ქვეყნის ძირითადი კანონი ყველა საბჭოთა მოქალაქის ბედნიერების დაფუძნებელი წყაროა.

სიტყვა მისცეს კერამიკული საამქროს მუშას, სანდომიანი სახის გოგონას ნანა ანატოლიევს, მან როგორც იქნა, მორცხვობა დაძლია და მაღლობის სიტყვები გამოთქვა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მისამართით ხალხზე მამობრივი ზრუნვისათვის. ახალგაზრდა კომუნისტმა პირობა მისცა ამხანაგებს, რომ პატიოსნად შეასრულებს კონსტიტუციით დაკისრებულ მოვალეობას, ყოველთვის იქნება წარმოდგენილი...

ნანას არაფერი უთქვამს იმაზე (მთელ ქალებს ბევრი ლაპარაკი არ უყვართ), რომ საამქროს, სადაც ის შრომობს, უკანასკნელ წლებში სახელი გაითქვა შესანიშნავი პროდუქციით. დუშურ კერამიკაზე დიდი მოთხოვნილებაა როგორც საქართველოში, ისე მოძმე რესპუბლიკებში, მან საზღვარგარეთაც გადაკვლია გზა. კერამიკის ოსტატები ყოველთვის დიდი გადაჭარბებით ასრულებენ დავალებას. მოულოდნელად საამქროს დიდი უბედურება დაატყდა თავს, ხანძარმა გაანადგურა შენობის დიდი ნაწილი, მაგრამ კერამიკის ოსტატებს შრომა არ შეუწყვეტიათ. მიუხედავად დიდი სიძნელეებისა, კვლავ თავდადებით ირჯებოდნენ... დიახ, ჩვენს ქვეყანაში ხორციელდება დიადი პრინციპი — ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის. მუშათა კოლექტივის საერთო მეცადინეობით, კომუნისტების პირადი მაგალითით საამქროს შენობას მალე აღადგენენ.

მოკამათენი სიამაყით ლაპარაკობდნენ სოციალისტური დემოკრატიის დიად პრინციპებზე, მოქალაქის ჭეშმარიტ თავისუფლებაზე, შრომის უფლებასა და იმ ჯანსაღ მორალურ კლიმატზე, რომელიც ადამიანებს ახალისებს უკეთესად იშრომონ, უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღონ ქვეყნის მართვაში, გააჯანონ სოციალისტური შეჯიბრება, რათა ახალი წარმატებებით შეხვდნენ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავს.

კომბინატის კომუნისტები და უპარტიო ამხანაგები კრებაზე ცხარილი ხელით ხელით ადგენდნენ. კონსტიტუციის პროექტის განხილვის წინ რამდენიმე დღით ადრე შეჯამდა ნახევარი წლის შედეგები. ციფრები მოკლედ, ლაკონიურად გვაცნობენ მათი თავდადებული შემოქმედებითი შრომის შედეგებს. სამკერავო საამქროს კოლექტივმა მიმდინარე წლის 6 თვის გეგმა 103 პროცენტით დააღწია, კერამიკის საამქროს — 113,7 პროცენტით, ფაქიას წყაროს ჩამოსხმის საამქრომ—133 პროცენტით. კომბინატმა გადაჭარბებით შეასრულა მოგების გეგმაც — ნაცვლად 50 ათასი მანეთისა, მიიღებულია 56 ათასი მანეთის მოგება.

კრებაზე ითქვა, რომ ბოლო ხანებში გაუმჯობესდა სამკერავლო საამქროს მუშათა შრომის პირობები, მწყობრში ჩადგა მუშათა სასადილო, მალე გაიხსნება ქალთა ოთახი, წითელი კუთხე, კეთილმოწყობილი გახდება საამქროს ეზო, უკვე მზად არის ელექტრული გათბობა, ვენტილაცია და განათება. წელსვე შეუდგებიან ახალი პროდუქციის — ლოგინის მოქარგული თეთრეულის გამოშვებას. ამ საქმის შესასწავლად კიევში მიავლინეს ორი ამხანაგი.

ფაქიას წყაროს საამქროს გაფართოების მიზნით, უფრო სწორედ, ახალი ჩამოსასხმელი ქარხნის მშენებლობისათვის, მიმდინარეობს საჭირო დოკუმენტაციის შედგენა. ქარხნის მშენებლობა უნდა დამთავრდეს 1980 წლისათვის, მისი მწარმოებლობა წელიწადში 120 მილიონ ბოთლს მიაღწევს.

მიუხედავად ამ წარმატებებისა, როგორც გამოიკვეა, კომბინატში ჯერ კიდევ არის გადაუჭრელი საკითხები. შემთხვევითი არ იყო, რომ კომუნისტმა თინა მთიულიშვილმა თავის სიტყვაში თქვა, შრომა ჩვენზე იყოს, მხოლოდ საჭირო ქსოვილები თავის დროზე მოგვაწოდონო. ამის თქმის უფლება მას ჰქონდა, ვინაიდან არის შემთხვევები, როცა საამქრო ნედლეულს დროზე ვერ იღებს, არც მეერავ ეკატერინე ბაზოვის შენთშენა იყო უსაფუძვლო, რაიონულ ცენტრში ზოგჯერ ძნელი და შეუძლებელიც რომ არის ზოგიერთი სახის პროდუქტის შეძენა.

მრავალსიტყვაობით არ გამორჩეოდა პარტორგანიზაციის მდივანის მოადგილის ნინო ახალშვილის, წყნმდებელ რუსეთიდან ფრდლინაშვილის, მკერავების ეკენია თამბორაძის, მარგო ბედოშვილის, ციცინო ფერხულის გამოსვლები, ორორიც იტყვიან. ვრძელი სიტყვა მოკლედ თქმის, მაგრამ, რაც მთავარია, შან გამოსულმა იგრძნობოდა ის დიდი სიხარული და აღმაფრენა, რაც გამოწვეულია სსრ კავშირის — ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს ახალი კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვით და ამისათვის მზადყოფნით, რომ ყველფერი იღონონ თავიანთი მოქალაქეობრივი მოვალეობის პატიოსნად შესრულებისათვის, რომ საბჭოთა მოქალაქის უფლებები და მოვალეობანი, რომლებიც კონსტიტუციის პროექტით არის გათვალისწინებული, ურთიერთგადაჯაჭვული, ერთმანეთისაგან განუყოფელი ცნებებია.

პარტიულმა კრებამ, ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში ერთსულოვნად მოიწონა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტი და დასახა ღონისძიება, რომელშიც გათვალისწინებულია, რომ ეს ისტორიული დოკუმენტი გააცნონ კომბინატის თითოეულ მშრომელს, უზრუნველყონ თავიანთ უბანზე პროექტის განხილვა.

ა. თომაძე,

„კომუნისტის“ საკ. კორ.

პარტიული ორგანიზაცია განიხილავს კონსტიტუციის პროექტს

□

კოლექტივის საერთო მეცადინეობით, კომუნისტების პირადი მაგალითით საამქროს შენობას მალე აღადგენენ.

მოკამათენი სიამაყით ლაპარაკობდნენ სოციალისტური დემოკრატიის დიად პრინციპებზე, მოქალაქის ჭეშმარიტ თავისუფლებაზე, შრომის უფლებასა და იმ ჯანსაღ მორალურ კლიმატზე, რომელიც ადამიანებს ახალისებს უკეთესად იშრომონ, უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღონ ქვეყნის მართვაში, გააჯანონ სოციალისტური შეჯიბრება, რათა ახალი წარმატებებით შეხვდნენ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავს.

კომბინატის კომუნისტები და უპარტიო ამხანაგები კრებაზე ცხარილი ხელით ხელით ადგენდნენ. კონსტიტუციის პროექტის განხილვის წინ რამდენიმე დღით ადრე შეჯამდა ნახევრი წლის შედეგები. ციფრები მოკლედ, ლაკონიურად გვაცნობენ მათი თავდადებული შემოქმედებითი შრომის შედეგებს. სამკერავო საამქროს კოლექტივმა მიმდინარე წლის 6 თვის გეგმა 103 პროცენტით გააღწია, კერამიკის საამქრომ — 113,7 პროცენტით, ფაქიას წყაროს ჩამოსხმის საამქრომ—133 პროცენტით. კომბინატმა გადაჭარბებით შეასრულა მოგების გეგმაც — ნაცვლად 50 ათასი მანეთისა, მიიღებულია 56 ათასი მანეთის მოგება.

კრებაზე ითქვა, რომ ბოლო ხანებში გაუმჯობესდა სამკერავლო საამქროს მუშათა შრომის პირობები, მწყობრში ჩადგა მუშათა სასადილო, მალე გაიხსნება ქალთა ოთახი, წითელი კუთხე, კეთილმოწყობილი გახდება საამქროს ეზო, უკვე მზად არის ელექტრული გათბობა, ვენტილაცია და განათება. წელსვე შეუდგებიან ახალი პროდუქციის — ლოგინის მოქარგული თეთრეულის გამოშვებას. ამ საქმის შესასწავლად კიევში მიავლინეს ორი ამხანაგი.

ფაქიას წყაროს საამქროს გაფართოების მიზნით, უფრო სწორედ, ახალი ჩამოსასხმელი ქარხნის მშენებლობისათვის, მიმდინარეობს საჭირო დოკუმენტაციის შე-

მილიონთა ტრიბუნა

„ქუთაისი“

რ. ხვანიძე, ი. ბიგვავა, ვ. კოზლოვი, ა. გლუშჩევი, ავეჯის ფაბრიკის კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის წევრები: ჩვენს ფაბრიკაში გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის მუშაობის მიზანმიმართულად წარმართვამ კარგი შედეგი გამოიღო. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა კომკავშირის კომიტეტისა და საამქროთა კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობა, ყურადღებას იმსახურებს კომკავშირის კომიტეტის ურთიერთობა ხარისხის მართვის განყოფილებასთან. ჩვენ ერთობლივი მუშაობის დებულებაც კი შეგვიმუშავეთ. ასე რომ ჩატარებული რეიდებით გამოვლენილი წუნის მკეთებლების მატერიალური დასჯაც კი შეგვიძლია. **ჩვენი აზრით, პიროვნება, რომელიც წუნიან პროდუქციას უშვებს, პატივს არ სცემს საზოგადოებას, კოლექტივის წევრთა თავდადებულ შრომას, არცხვენს კოლექტივის სახელს, მკაცრად უნდა დაიხაროს.** აქედან გამომდინარე კარგი იქნება მე-60 მუხლს დაემატოს შემდეგი: **„პიროვნებამ, რომელიც გამოუშვებს წუნიან პროდუქციას, პასუხს აგებს საზოგადოების წინაშე და ისჯება მატერიალურად“.**

„ალაზნის განთიადი“ (თელავი)

გ. როსტომაშვილი. კისისხევის საშუალო სკოლის დირექტორი: მიზანშეწონილად მიმაჩნია კონსტიტუციის პროექტის 66-ე მუხლში, სადაც აღნიშნულია „სსრ კავშირის მოქალაქენი მოვალენი არიან ზრუნავდნენ შვილების აღზრდისათვის...“ დაემატოს სიტყვები „სწავლისათვის და აგებდნენ პასუხს“.

„ლენინის დროშა“ (მახარაძე)

გ. ანთაძე. ბახვის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე: იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენს საზოგადოებაში სულ უფრო იზრდება მშრომელთა კოლექტივების როლი, მიზანშეწონილად მიმაჩნია კონსტიტუციის პროექტის მე-16 მუხლს დაემატოს სტრიქონები: **„მშრომელთა კოლექტივი განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ძირითადი უჯრედია, რომელიც ახორციელებს საწარმოო ეკონომიკურ, სოციალურ-ინტეგრაციულ და საამართველო აღმზრდელობით ფუნქციებს, რაც განსაკუთრებით მკაფიოდ ვლინდება კომუნისტური შრომის კოლექტივებში“.**

„კოლმეურნე“ (სიღნაღი)

კ. მაისურაძე. ჯუგაანი, სკკპ წევრი 1925 წლიდან, პერსონალური პენსიონერი: კარგი იქნება, რომ სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის დაემატოს ერთი მუხლი, რომლის მიხედვით მკვლელობის ან დაბრის შემთხვევაში კონკრეტულ დამნაშავე პირთან ერთად სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისრება ოჯახის უფროსს.

ასეთია ჩვენი პოსაზრება

მოქალაქის უფლება

კონსტიტუციის ახალი პროექტის 39 და 40 მუხლები ითვალისწინებენ მოქალაქეთა უფლებების გაფართოებას და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ხოლო 49 მუხლი მოქალაქეს აძლევს უფლებას შეიტანოს სახელმწიფო ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში წინადადებანი მათი საქმიანობის გაუმჯობესების შესახებ და სხვ.

ამ მუხლებთან დაკავშირებით მინდა შენიშვნა გავაკეთო შრომის კანონთა კოდექსის 35 მუხლზე და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 20 მაისის ბრძანებულებაზე, რომელთა მიხედვით შეზღუდულია, რომ ზოგიერთი კატეგორიის მუშაკებმა შრომის დავის საკითხი გაასაჩივრონ.

ჩემი აზრით, ზემდგომი სამეურნეო ორგანოების გადაწყვეტილება შრომით დავასთან დაკავშირებით საბოლოო არ უნდა იყოს და დაინტერესებულ პირს უნდა დარჩეს სასამართლოს წესით მისი გასაჩივრების უფლება.

კარგი იქნება, თუ კომისია შრომის კანონთა კოდექსის პროექტის შემუშავების დროს გაითვალისწინებს იმას, რომ ყველა კატეგორიის სამეურნეო მუშაკებს დარჩეთ უფლება ორგანიზაციის ხელქვეითობის წესით შრომითი დავის მოუგვარებლობის შემთხვევაში მიმართონ სასამართლოს.

ს. ბახტაძე,

„საქსოფლტექნიკის“ № 2 ტრესტის უფროსი იურისკონსულტი.

ერთიან ძმურ ოჯახში

საოქტომბრო ვახტაზეა მთელი საბჭოეთი

2. ლატვია

ლატვიას ქარგის ქვეყანას უწოდებენ, ისევე როგორც საქართველოს — მზიურს, ოქროიანს — საბჭოთა ქვეყნის პატრის ბეღელს და ა. შ. ქარგის ქვეყანა!.. ქარგა ხომ სისპეტაკისა და მომზიდველობის სიმბოლოა. მართლაც სპეტაკი და მომზიდველია ლატვია, მისი ბუნება, მისი ხალხი, მისი საქმე და გარჯილობა.

როგორც კი საბჭოთა კავშირის ერთიან ძმურ ოჯახში დაბრუნდა, ლატვიელ ხალხს დიდმა სამამულო ომმა მოუსწრო და იგი ერთობლივ აღდგა ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ. შემდეგ კი, როცა გამარჯვების ღღე დადგა, მან უმოკლეს ვადაში აღადგინა დანგრეული მეურნეობა.

და ყოველივე ეს საბჭოთა ქვეყნის ყველა რესპუბლიკის დახმარების შედეგად მოხდა. ამაკაბის პროდუქცია ფართოდ ცნობილი არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ საზღვარგარეთაც. ელექტროტექნიკა, რადიოტექნიკა, ტელეფონის აპარატურა, ხელსაწყოები, სატრანსპორტო მანქანები, ქსოვილები, ქიმიურ-ფარმაცევტული პროდუქცია, გამომთვლელი მანქანები, სასოფლო-სამეურნეო იარაღები, — აი არასრული სია იმ ნაწარმისა, რომელსაც მზარდი რაოდენობით აწვდის ლატვია საბჭოთა რესპუბლიკებს და უცხოეთის ბაზრებს.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგი მეცხოველეობაა. ამჟამად ლატვიაში 1,5 მილიონამდე სრული მსხვილფეხა რქიანი საქონელია, ამდენივე ღორი, ნახევარ მილიონამდე ცხვარი. მეცხოველეობის განვითარებას ხელს უწყობს საძოვრების სუფსერვი გამოუშვენ. ინტენსიურად ხორციელდება დაჭაობებული ადგილების ამოშრობა.

ლატვიის სახალხო მეურნეობის სწრაფი აღმავლობის გადამწყვეტი ფაქტორი საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობა, მეგობრული თანამშრომლობა და უანგარო ურთიერთდახმარებაა, რაც კიდევ უფრო ძლიერდება და ფართოვდება მეათე ხუთწლედში.

ლატვიელმა მშრომელებმა ერთსულოვნად იკისრეს გადიდებული ვალდებულებები მეათე ხუთწლედში, რადგან მათ სწამთ, რომ საბჭოთა კავშირის მომძე ხალხების ერთიან ძმურ ოჯახში ყოველ სიძნელის დაძლევენ.

დაძაბულ, შემოქმედებით შრომაში მიდის დიდი ოქტომბრის საიუბილეო წელიწადი. ნაკისრი ვალდებულება, რომ წლიურს დავალების გადამეტებით დამზადდეს 72 მილიონნი მანეთის სამრეწველო პროდუქცია. წლის განვლილი ექვსი თვის შედეგები მოწმობს, რომ ვალდებულება პირნათლად სრულდება, გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 44 მილიონი მანეთის სამრეწველო ნაწარმი.

საბჭოთა ლატვიის მშრომელები საბჭოეთის დიდი ოჯახის სრულფასოვან წევრობას დიდ პატივად თვლიან და მუდამდეე მხურვალე მადლობას უძღვნიან პარტიას, მთავრობას, იმ შეუნელებელი ზრუნვისათვის, რასაც ისინი იჩენენ საბჭოთა ლატვიის ეკონომიკის, ხალხის კეთილდღეობის შემდგომი აღმავლობისათვის.

ლატვიელი მშრომელები ამ ზრუნვას თავდადებული შრომით უპასუხებენ.

ინფორმაცია

გვატყობინებენ გაზეთ „სოვეტსკაია ლატვიას“ კორესპონდენტები.

„50 მილიონი სიტკგო“

რიგა. 13 ათას ქილა ახალი ხილის კონსერვებს უშვებს ყოფილ ცვლაში „ლატგალეს კონსერვის“ გაერთიანების რეზეკნის ფილიალი. გადასამუშავებლად შემოდის როგორც პირადი, ისე ხაზოგადოებრივი მეურნეობების ბაღების, აგრეთვე ტყის ხილ-კენკრეული.

მეკონსერვეებმა გადაწყვიტეს დიდი ოქტომბრის საიუბილეოდ 50 მილიონი ქილა ზეგეგმითი ტკბილი კონსერვი გამოუშვან.

მზადდება საკვები

დაუგავპილსი. პირველი ათეული ტონა გრანულირებული საკვები გამოუშვა მიჩურინის სახელობის კოლმეურნეობის საკვების დამამზადებელმა ახალმა საამქრომ. ეს ჯერჯერობით ერთადერთი ასეთი საწარმოა რაიონში, რომელიც წლიურად 8.000 ტონა სხვადასხვა ასორტიმენტის პირუტყვის საკვებს უშვებს.

მეგადურთა სიტყვა

ლიეპაია. თავისი პირველი რეისი წარმატებით დაამთავრა ახალი თევზსაჭერი ტრაულერის „კორუნდის“ ეკიპაჟმა, მან იკისრა ხუთწლედის ორი წლის დავალება დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისათვის გაანაღდოს.

კონვეიერზეა ვარდები

იურმალა. წლის განვლილ პერიოდში 109 ათასი ვარდი გაგზავნა სარეალიზაციოდ იურმალის ყვავილების მეურნეობის კოლგინებმა. მის ოთხ სათბურში ყვავილები ახალი მეთოდით — ჰიდროპონირების მეთოდით გამოიყავთ.

კომბინატის სპეციალისტთა გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ ამ მეთოდით ვარდების გამოყვანა ბევრად უფრო იაფი ჯდება, საჭირო არ არის მათი ყოველდღიური რწყვა, ხშირი დამუშავება.

ინფორმაცია



ს ა ლ ა ს ა პ ი ლ ი, რომელიც რიგასთან ახლო მდებარეობს, ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი დიდი სამეცნიერო ცენტრია. რამდენიმე წლის წინათ აქ ამუშავდა ლატვიის სსრ ფიზიკის ინსტიტუტის ატომური რეაქტორი. რეაქტორის ამუშავებით შეიქმნა შესაძლებლობა ფართო კვლევითი საქმიანობა გაჩაღდეს ფიზიკის, ბიოლოგიის, მედიცინის, ხოფლის მეურნეობის დარგებში. ლატვიელ მეცნიერებთან ერთად აქ მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებიც მუშაობენ.

სურათზე: რეაქტორის დარბაზში.

სპეციალური ფოტოქრონიკა.

რესპუბლიკა დღეს

ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ბალტიისპირეთში მდებარეობს. მისი ფართობი 63,7 ათასი კვადრატული კილომეტრია, მოსახლეობა — 2.512 ათასი კაცი. დედაქალაქია რიგა.

მრეწველობა

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ლატვია მაღალგანვითარებული მრეწველობის რესპუბლიკად გადაიქცა. 1976 წელს მან 39-ჯერ მეტი სამრეწველო პროდუქცია დაამზადა, ვიდრე 1940 წელს.

განსაკუთრებით აყვავდა რესპუბლიკის ზუსტ ხელსაწყოთა მრეწველობა. აქაური რადიო და ტელეფანარატურა ჩვენი ქვეყნის სიამაყეა და მსოფლიოში დიდი მოწონებით სარგებლობს.

დღეს საბჭოთა ლატვია აწარმოებს: ჩვენი ქვეყნის სატელეფონო აპარატურის მნიშვნელოვან ნაწილს, რკინიგზის ვაგონების მესამედს, ტრამვაის ვაგონების 23 პროცენტს, დიზელებისა და დიზელგენერატორების 16 პროცენტს, მოტოციკლოსპედებისა და მოპედების 50 პროცენტს, საყოფაცხოვრებო სარეცხი მანქანების 18 პროცენტს, საწველი დანადგარების 40 პროცენტს.

სოფლის მეურნეობა

1976 წელს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობამ 3,7-ჯერ მეტი პროდუქცია აწარმოა, ვიდრე 1940 წელს. შარშან რესპუბლიკის მიწათმოქმედებმა ინტენსიური სარეკორდო მოსავალი მიიღეს — 1.888 ათასი ტონა მარცვლეული, საშუალოდ ჰექტარზე 26,8 ცენტნერი.

სწრაფი ტემპით ვითარდება რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგი — მეცხოველეობა. 1940 წელთან შედარებით ხორცის წარმოება ერთიორად გადიდდა, კვერცხისა — 3,6-ჯერ, რძისა — ორჯერ და მეტად.

განათლება, კულტურა, დასვენება

დღეს ლატვიის მოსახლეობის ნახევარზე მეტს საშუალო და უმაღლესი განათლება აქვს. რესპუბლიკის ყოველ ათი ათას მცხოვრებზე 184 უმაღლესი განათლების სპეციალისტი მოდის.

რესპუბლიკა განთქმულია თავისი კურორტებით. საბჭოთა ადამიანების დასვენების მსხვილ ბაზად იქცა კურორტი იურმალა, რომელიც რიგის ზღვისპირეთზეა.

ლატვიის კურორტებზე ყოველწლიურად მილიონობით საბჭოთა მშრომელი ისვენებს და ჯანმრთელობას იკეთებს.

ქარვის ქვეყანა

პ. სტრაუტმანისი,

ლატვიის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

□

მად წელში გამართული, სვებედნიერ ცხოვრებას დაწყებული ლატვ

ბუნება ხალხის სიმდიდრეა

საქართველოს მწერლები და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის მუშაკები შეიკრიბნენ ამ დღეებში, რათა ერთად ემსჯელათ თანამედროვეობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემაზე — ბუნების დაცვის პრობლემაზე, ქართველ მწერლებსა და რესპუბლიკის ბუნების დაცვის მესვეურებს სურდათ გაეზიარებინათ ერთმანეთისა აზრი საქართველოში ბუნების დაცვის მდგომარეობაზე, ამ დარგში მიღწეულ წარმატებებსა და ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებზე, გაემახვილებინათ საზოგადოებრიობის ყურადღება ჩვენი დროის ამ უარესად საარსებო საკითხზე, დაესახათ ღონისძიებანი ბუნების დაცვის შემდგომი გაუმჯობესების საქმეში.

თათბირის მონაწილეებმა მიიღეს მომართვა, რომლის ტექსტსაც ქვემოთ ვაქვეყნებთ.

ძვირფასო მეგობრებო!

ბუნება ჩვენი ეროვნული სიმდიდრეა, საერთო-სახალხო კუთვნილებაა. იგი სიცოცხლის დაუშრეტელი წყაროა და ამ წყაროს სიწმინდისა და სისუფთავისათვის ზრუნვა თითოეული ჩვენთაგანის ღვაწლი საქმეა.

ბუნება იყო და მუდამ იქნება ქართული მწერლობის შთაგონების დაუშრეტელი წყაროც. ჩვენს დედაბუნებას მიეძღვნა ქართველ მწერალთა შემოქმედების არაერთი დიდებული ნიმუში.

ბუნების დაცვა ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიისა და მთავრობის მუდმივი საზრუნავია. მრავალეროვან საბჭოთა სამშობლოში ბუნების ეგეგმაზომიერ დაცვას, საერთო-სახალხო კუთვნილებად გამოცხადებას 60 წლის ისტორია აქვს. მას დასაბამი მიეცა დიდი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, საბჭოთა ქვეყნის არსებობის პირველი დღეებიდანვე. ზრუნვა ბუნებაზე, ფიქრი მის გამრავლებაზე, გამდიდრებასა და გამრავალფეროვნებაზე ვლადიმერ ილიჩის ტრადიციაა. იგი ხაზგასმით აღნიშნავდა ვ. ი. ლენინის მიერ ხელმოწერილ პირველ დეკრეტებს, რომლებიც საფუძველად დაედო ჩვენი ქვეყნის მთელ შემდგომ საქმიანობას ამ მეტად მნიშვნელოვან დარგში.

ბუნების დაცვის საკითხებს დიდი ყურადღება დაეთმო სკკპ XXV ყრილობაზე. ბუნებისათვის ზრუნვა გამოცხადდა თანამედროვეობის ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან პრობლემად, ჩვენი ბუნება გახდა ეკონომიკურად საერთო-სახალხო ზრუნვის ობიექტი.

საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტში, რომელსაც ამჟამად მთელი საბჭოთა ხალხი განიხილავს, ნათქვამია: „სსრ კავშირის მოქალაქენი მოვალენი არიან უფრთხილდებოდნენ ბუნებას, იცავდნენ მის სიმდიდრეებს“. ამ სიტყვებით ჩვენი ცხოვრების ძირითად კანონს სახელმწიფოებრივ სიმაღლეზე აჰყავს ბუნების დაცვა.

ყოველივე ეს დიდი სიამაყით გვავსებს, რადგან ბუნების დაცვა ჩვენს დიად ქვეყანაში, რომელიც უკვე თავისი განვითარებისა და წინსვლის ნებ წლის იუბილეს ზეიმობს, საამედო ხელშია.

მაგრამ არ შეიძლება ამ წარმატებათა მიღმა არ დავინახოთ და გულისტკივილით არ აღვნიშნოთ ის ნაკლოვანებანი, რომლებიც ჯერ კიდევ არის და გულს ტკენს ყველას, ვისაც უყვარს ჩვენი დედაბუნება. მიუხედავად ბოლო წლების მანძილზე რესპუბლიკაში განხორციელებული მთელი რიგი ღონისძიებებისა, მიუხედავად სასიკეთო ძვრებისა, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრების ამ დარგშიც აშკარად შეიმჩნევა, ჯერ კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი. იშვიათად როდი შევხვდებით ბუნების დაცვისა და მოვლა-პატრონობისადმი უყურადღებო, ზოგჯერ კი აშკარად დანაშაულებრივ მიდგომას, ჩვენი მშობლიური მიწის, ტყეებისა და მდინარეებისადმი ადამიანთა უსულგულო დამოკიდებულებას. ფაბრიკა-ქარხნებისა და წარმოება-დაწესებულებათა ზოგიერთი ხელმძღვანელი ჯერ კიდევ ვერ იჩენს სახელმწიფოებრივ მიდგომას ამ დიდმნიშვნელოვანი საკითხისადმი. ჯერ კიდევ ჩანაგდება ტყის უნიკალური ჯიშები, იწამლება ჰაერი, ზღვა და მდინარეები; ბრაკონიერების ხელით ნადგურდება ჩვენი ფლორისა და ფაუნის სიმაყე და სილამაზე. ჯერ კიდევ არიან ადამიანები, რომელნიც არაფრად აგდებენ ხალხის ინტერესებს და საკუთარი სიამოვნების ან გამორჩენის მიზნით ჩეხავენ ტყეებს, აღარიბებენ მიწას, აჩანაგებენ თევზს, ანადგურებენ ცხოველთა ისეთ წარმომადგენლებს, რომელთა სიმცირე ისედაც უკვე აშკარად შეიმჩნევა.

ასეთ დროს ყოველი ჩვენგანის ვალია გამოვიჩინოთ ჭეშმარიტი მამულიშვილობა, ვიყოთ მზრუნველნი ჩვენი ბუნებისადმი, შეურიგებელი და პრინციპული ბრძოლა გამოვუცხადოთ ყველას, ვინც ხელყოფს ჩვენს სიმდიდრესა და სიამაყეს.

ბუნებისათვის ზრუნვა ადამიანისათვის ზრუნვაცაა — ეს კარგად უნდა იცოდეს ყველა ჩვენთაგანმა, ამიტომ ბუნების დაცვა ყველა ჩვენგანის ვალია.

ეს კეთილშობილური, მამულიშვილური, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმე ყველამ გულთან უნდა მიიტანოს, იგი ყველას უნდა აფიქრებდეს და აღელვებდეს.

ბუნებამ, ბუნებისა და ადამიანის დიადმა ურთიერთობამ შთაგონა მწერლობას მრავალი ლიტერატურული შედევრი და მწერლობის ვალია კვლავაც შექმნას ახალი ნაწარმოებები, სადაც ახალ მხატვრულ სიმაღლეზე აიყვანს ამ დიად თემას, სადაც უმღერებს ადამიანისადმი ბუნების მარადიულ ერთგულებას.

მთელი ჩვენი საზოგადოებრიობის, მთელი ჩვენი ხალხის ერთობლივმა ბრძოლამ ბუნების დაცვისათვის, თავისი კეთილი ნაყოფი უნდა გამოიღოს. ეს იქნება ჭეშმარიტი პასუხი იმ დიდ ზრუნვაზე, რასაც ჩვენი დედაბუნებისადმი იჩენენ კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის მუშაკთა გაერთიანებული სხდომის მონაწილენი.

საბჭოთა კავშირის აზია-აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის კომიტეტის განცხადება

ჩრდილო-აღმოსავლეთი აფრიკიდან შემაშფოთებელი ამბები მოდის. ეთიოპიის აღმოსავლეთ რაიონებში ხდება შეიარაღებული შეტაკებანი ერთი მხრივ, ეთიოპიის ჯარებს, სახალხო მილიციის რაზმებს, და მეორე მხრივ, ეგრეთწოდებული „დასავლეთ სომალის განთავისუფლების ფრონტის“ შენაერთებს შორის. დეპეშათა სააგენტოები იუწყებიან, რომ ამ შეტაკებებში მონაწილეობენ სომალის შეიარაღებული ძალების რეგულარული ნაწილები. ამ შეტაკებებს თან სდევს ორივე მხარის დიდი ზარალი.

როგორც ცნობილია, კოლონიურ სახელმწიფოთა პოლიტიკამ მთელ რიგ დამოუკიდებელ აფრიკულ სახელმწიფოებს მემკვიდრეობად დაუტოვა მძიმე ტერიტორიული პრობლემები და უთანხმოება. სწორედ ამასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ 1963 წელს აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის შექმნის დროს წესდების მესამე მუხლში შეტანილი იყო „თითოეული სახელმწიფოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის სავალდებულო პატივისცემისა“ და „მოლაპარაკების, შუამავლობის, დარბაზგების და არბიტრაჟის გზით სადავო საკითხების მშვიდობიანი მოწესრიგების“ პრინციპები.

პრაქტიკამ დაადასტურა, რომ ამ პრინციპების დარღვევა, არსებული საზღვრების ძალით გადაკეთების ცდა, რითაც უნდა ამარლებდნენ ამას, ზიანს აყენებს აფრიკელ ხალხთა ანტიიმპერიალისტური ერთობის და მხოლოდ იმპერიალისტურ ძალებს აძლევს ხელს.

ეჭვს არ იწვევს, რომ სწორედ ამ ძალებმა შეასრულეს წამქეზებლური როლი სომალისა და ეთიოპიის ტერიტორიულ დავაში. აღვივებენ რა შეიარაღებულ კონფლიქტს აფრიკის ნაწილში, იმპერიალიზმსა და რეაქციურ რეჟიმებს სურთ ძირი გამოუთხარონ სომალისა და ეთიოპიის პროგრესულ რეჟიმებს, აფრიკის ხალხთა ყურადღება ჩამოაცილონ მათ ძირითად ამოცანას — დარჩენილი კოლონიური და რასისტული რეჟიმების ლიკვიდაციას, ახალი პროგრესული რეჟიმების განმტკიცებას, კონტინენტის სრულ განთავისუფლებას.

საბჭოთა საზოგადოებრიობა, რომელსაც ინტერნაციონალური სოლიდარობის გრძნობება ამოძრავებს და რომელიც მუდამ სიმპათიით ეკიდებოდა სომალისა და ეთიოპიის ხალხებს და მიესალმა ამ ქვეყნებში პროგრესულ გარდაქმნებს, ღრეს დიდ შეშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ძმათამკვლელი შეიარაღებული კონფლიქტი დაიწყო საბჭოთა კავშირის ამ მეგობარ სახელმწიფოთა შორის.

საბჭოთა კავშირის აზია-აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის კომიტეტი მოუწოდებს დაუყოვნებლივ შეწყვიტონ საომარი მოქმედება, დაიწყონ საზავო მოლაპარაკება, რათა ანტიიმპერიალისტური სოლიდარობისა და კეთილმეზობლობის სულისკვეთებით გამოძებნონ ტერიტორიული დავის პოლიტიკური გადაწყვეტის გზები ეთიოპიისა და სომალის ხალხთა საკეთილდღეოდ, აფრიკის მთელი პროგრესული ძალების საკეთილდღეოდ.

ფრთაშესხმული ოცნება

ფლეგი და ადამიანი

ელმავლის პულტთან

ცხარობდა გრიშა ჯობაძე, ხაშურის ხაორთქლმავლო დეპოს მემანქანე.

—\კაცო, ეს დეპოა, თუ ბავშვთა აღსაზრდელი სახლი, — არა ძმაო, მე მაგ ყმაწვილს თანაშემწედ ვერ ავიყვან, გამოცდილი კაცი მომეცით, ვერა ხედავთ, „ომია!

1941 წელი. ქვეყანა სამკვდრო-სასიცოცხლო ომში იყო ჩაბმული. არც ფრონტის წინა ხაზზე ლხინდა, არც ზურგში. აქაც მეორე ფრონტიაო, ამბობდა ხალხი, წელზე ფეხს იდგამდა, ერთი კაცი ათიახან კისრულობდა, ოღონდ ფრონტს არა მოკლებოდა რა, ოღონდ მალე დამთავრებულიყო კაცის სიხსნელით გაუმაძღარი ომი...

ყმაწვილს, ფერი დაკარგოდა, საფეთქლებს ხიხლის ძარღვები ეძალებოდა, ბოღმა ბურთივით უელში გასჩრიდა. „ბედი არ გინდა, ეს ვის გადავეყარეო. — ამბობდა გულში, — ჰაი დედასა, დამაცა. თუ შენისთანებს ტოლი რამეში დავუდო“...

მემანქანის რეისს ეს ყური არავინ უგდო. თანაშემწედ იმ ღამის რეისში ის პირტკეული, ტანმორჩილი ახალგაზრდა გააყოლეს — ვლადიმერ ჩიქოვანი, ხაშურის რკინიგზის ტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებული.

— ეს ჩემი პირველი რეისი იყო, — მოამბობს ვლადიმერი. — იმ ღამით ხაზზე გასვლით კი გავდით, მაგრამ დღესაც გულისტკივილით ვგიგონებ ყოველივეს. მალე გამოცდილ მემანქანისთან გრიგოლ ცერცვაძესთან გადამიყვანეს თანაშემწედ. იგი ჩემი ნამდვილი მეგობარი და მასწავლებელი გახდა.

— თუ ეს ჩვენი პროფესია არ გაინტერესებს, დროს ტყუვილად ნუ აცდენ. სხვა ხელობა ისწავლე. ორთქლმავლის მემანქანეობა უწინარეს ყოვლისა მტკიცე ნებისყოფის ადამიანთა ხვედრია. მუდამ გახსოვდეს, — მარიგებდა იგი, — ჩვენი წარმატების თავი და ბოლო — სიფხიზლეა. 1943 წელს დავამთავრე ხაშურის პირველი საშუალო სკოლა. მამაჩემი ქიმიას მასწავლიდა. ახლა იგი საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელია.

რკინიგზიდან ხალხი ფრონტზე მიდიოდა. ვაეკაცები აკლდათ. ჰოდა, ვლადიმერმაც გადაწყვიტა სკოლის პარალელურად რკინიგზის ტექნიკური სასწავლებელიც დაემთავრებინა. ახეც მოიქცა. სამი წლის შემდეგ კვალიფიკაციის ასამაღლებლად ვ. ჩიქოვანი თბილისს ვაგზავნეს ტექნიკურ სასწავლებელში. აქ იგი ერთდროულად ორთქლმავლისა და ელმავლის მემანქანის სპეციალობას ეზიარა.

— 1947 წლიდან დღემდე ელმავლის მემანქანედ ვმუშაობ, 1952 წლიდან სკკპ წევრი ვარ, — მოკლედ მოჭრა ვ. ჩიქოვანმა.

ვლადიმერი გარუმდა. თითქოს ახლა მომეცა საშუალება დაკვირვებოდი. ტანმორჩილი, საკმაოდ ჩაფსკვნილი ვაეკაცი იჯდა ჩემს წინ, მკვირცხლი, ენერგიით სავსე. ღიმილი დასთამაშებს სახეზე.

უჭირს საკუთარ თავზე საუბარი. არ ვუშვები, კითხვას ათასნაირად შევუბრუნებ ხოლმე, — იქნებ რაიმე „გამოვტყუო“.

— თქვენთვის რომ ცხოვრების გზის მეორედ არჩევის უფლება მოეცეთ, რა პროფესიას აირჩევდით? — ვეკითხები რატომღაც.

ტელეტაიპი გადმოგვცემს

მსოფლიოს ამბები

ბელგრადი

მოსამზადებელი ეტაპი დამთავრდა

ბელგრადი, 5 აგვისტო (საქდესი). ღღეს აქ დამთავრდა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა წარმომადგენლების ბელგრადის შეხვედრის მოსამზადებელი ეტაპი. მის დასკვნით სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილებანი ბელგრადის შეხვედრის ღღის წესრიგის, მუშაობის ხანგრძლივობის, ხარჯგანაწილებისა და სხვა პირობების შესახებ.

ეს შეხვედრა დაიწყება 1977 წლის 4 ოქტომბერს. მისი ამოცანა, რაც ასახულია ღღის წესრიგში, იქნება ის, რომ გაიმართოს აზრთა საფუძვლიანი გაზიარება როგორიც სპეციალიტეტ ტაბ ი თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა ურთიერთობის გაუჯრობესების, ევროპის უშიშროების განმტკიცებისა და თანამშრომლობის განვითარების, მომავალში დაძაბულობის შენელების პროცესის განვითარების შესახებ.

ყველა ამ საკითხსა და მათ გამო გამოთქმულ წინადადებებს განიხილავენ პლენარულ სხდომებზე, რომლებიც ბელგრადის შეხვედრის თავკაი ორგანოები იქნებიან, აგრეთვე დამხმარე სამუშაო ორგანოებში, რომლებიც მკაცრად განსაზღვრული დროის განმავლობაში იმუშავებენ.

გადაწყვეტილია, რომ ბელგრადის შეხვედრაზე ყოველი ღონე უნდა მოხმარდეს იმას, რათა შეთანხმონ მისი დასკვნითი დოკუმენტი არაუგვიანეს 1977 წლის 22 დეკემბრისა. თუ ეს სამუშაო აღნიშნულ დროში არ დამთავრდა, ვარაუდობენ, რომ იგი შეიძლება გაგრძელდეს 1978 წლის შუა იანვრიდან შუა თებერვლამდე ბელგრადის შეხვედრის დასკვნითი დოკუმენტის მიღებისათვის.

მოსამზადებელ ეტაპზე თავმჯდომარეს იუგოსლავიის წარმომადგენელმა მ. პეშიჩმა საპოლიტიკო სიტყვაში გამოთქვა იმედი, რომ ბელგრადის შეხვედრა დადმნიშვნელოვან და პოზიტიურ წვლილს შეიტანს ევროპაში დაძაბულობის შენელების, უშიშროებისა და თანამშრომლობის განმტკიცების მრავალმხრივ პროცესში, რომელსაც დასაბამი მისცა სრულიად ევროპის თათბირმა.

შეჯამა რა მოსამზადებელი ეტაპის შედეგები, საბჭოთა წარმომადგენელმა ი. მ. ციორნოვამ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ მიღებულ გადაწყვეტილებათა საფუძველზე ბელგრადის შეხვედრა შეიძლება და უნდა ჩატარდეს საქმიან კონსტრუქციულ ვითარებაში. „ყველა შესაძლებლობა არსებობს იმისათვის, რომ ეს შეხვედრა იქცეს, როგორც ეს ჩაფიქრებული იყო, ჰელსინკის სულისკვეთების გაგრძელებად და განვითარებად, დაძაბულობის შენელების პროცესის კიდევ ერთ რგოლად, ხაზგასმით აღნიშნა მან.

ტ. ფუკუდას მოგზაურობა

ტოკიო (საქდესი). იაპონიის პრემიერ-მინისტრი ტ. ფუკუდა ტოკიოდან სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ექვს ქვეყანაში გაემგზავრა. ცაბიტი ღღის ვიზიტის დროს იგი აეწვევა მალაიზიას, ბირმას, ინდონეზიას, სინგაპურს, ტაილანდსა და ფილიპინებს. შეხვედრა ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის მთავრობათა მეთაურებს.

ოლაპარაკება დამასკოში

დამასკო, 5 აგვისტო. (საქდესი). სირიის დედაქალაქში დამთავრდა მოლაპარაკება სირიის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტ ჰ. ასადსა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივან ს. ვენსს შორის, რომლის შემდეგაც ისინი გამოვიდნენ პრეს-კონფერენციაზე.

ჰ. ასადის განცხადების თანახმად, სირიამ უარყო ეგვიპტე-ამერიკის წინადადება ეგრეთ წოდებული „სამეშო ჯგუფის“ შექმნის შესახებ ჟენევის საზავო კონფერენციის მოწვევის მოსამზადებლად. „მე არ ვიცი დიდხანს და გულმოდგინედ სწავლობდა თუ არა ა. სადათი ამ წინადადების უარყოფით მხარეებს, ჩვენ კი პირველი შეხედვით ვერ დავინახეთ დიდი სარგებლობა ასეთი ჯგუფის შექმნაში“, — თქვა მან. სირიის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტმა შიში გამოთქვა იმის გამო, რომ ასეთი „სამეშო ჯგუფი“ ჟენევის კონფერენციის „კონკურენტი“ იქნება. „მოლაპარაკება, — თქვა ჰ. ასადმა, — ჟენევაში უნდა გაიმართოს, მაგ რატომ უნდა შეცვალოს იგი კიდევ რაღაც სხვა რამემ? მან აგრეთვე აღნიშნა, რომ „სამეშო ჯგუფის“ შექმნამ შეიძლება კი არ გაადიდოს, არამედ უფრო შემაციროს ზავის შანსები.

ჰ. ასადმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჟენევის საზავო კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა უნდა მიიღოს პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციამ.

6-13 აგვისტოს ნეიტრონული ბომბის წინააღმდეგ მოქმედების საერთაშორისო კვირეულია

ნეიტრონული ბომბი უნდა აიკრძალოს!

ამერიკის შეერთებულ შტატებში მასობრივი მოსპობის იარაღის ახალ ნაირსახეობათა წარმოების გეგმების გამო მსოფლიოს პროგრესული საზოგადოებრიობის დიდი შეშფოთება დაადასტურა იმ მასობრივმა მხარდაჭერამ, რომელიც მოჰყვა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მოწოდებას, რომ 6-13 აგვისტოს გადამართოს ნეიტრონული ბომბის წინააღმდეგ მოქმედების საერთაშორისო კვირეული. მსოფლიოს საზოგადოებრიობა, რომელიც პროტესტს აცხადებს პენტაგონის იმ დანაშაულებრივი გეგმების წინააღმდეგ, რომ დაიწყოს მასობრივი მოსპობის იარაღის ახალ ნაირსახეობათა წარმოება, ამავე დროს სერიოზულ შეშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ამ გეგმების რეალიზაციას უეჭველად მოჰყვება მთელი რიგი შორს გამიზნული ნეგატიური საგარეო-პოლიტიკური შედეგები.

ჯერ ერთი, ნეიტრონული ბომბისა და ფრთიანი რაკეტების შექმნა, რომელთა წარმოების შესახებ გადაწყვეტილება უკვე მიღებულია ვაშინგტონში, ნიშნავს გადალახულ იქნას ბევრი ფენომენი, ეს ნიშნავს ბევრი ადამიანის, ეროვნული ეკონომიკა, ეროვნული ენა, ეროვნული ფასეულობა, ეროვნული ტრადიციები, ეროვნული ფერადოვნება, ეროვნული ფასეულობა, ეროვნული ფერადოვნება, ეროვნული ფასეულობა, ეროვნული ფერადოვნება, ეროვნული ფასეულობა

ᲓᲘᲓᲘ ᲨᲔᲠᲘᲛᲘ ᲗᲐᲠᲯᲝᲚᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲨᲘ



„ᲡᲐᲞᲝᲕᲜᲔᲚᲐ“ — ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲣᲚᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ

ᲫᲕᲔᲚᲐᲓ ამ გორაზე თავადს სასახლე და კარის ეკლესია ედგა, მაგრამ ჟამთა სვლამ მიდამო მოასწორა, და დღეს ხალხის ხსოვნაღა შემოინახა ადგილის ძველი სახელი — სასახლე და გამყრელიძეების გორა.

აქ უკვე კარგა ხანია მხოლოდ ჯუჯა ბალახი ხარობდა და ისიც მზის გულზე უდღეური აღმოჩნდებოდა ხოლმე. გორაზე თერჯოლელები ამოვიდნენ. გამომშრალ მიწას ბარი დაკრეს და თქვეს: აქ ტყე აშრაალდება, ბავშვთა ქალაქი გაშენდება და ეროვანული დასადგურებსო.

5 აგვისტოს აქ საზეიმოდ გაიხსნა სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პიონერთა ქალაქი „საპოვნელა“. თერჯოლას ეწვივნენ სტუმრები დედაქალაქიდან, საქართველოს სხვადასხვა, ახლო და შორი რაიონებიდან. პიონერთა ქალაქის გახსნისადმი მიძღვნილი საზეიმო შეხვედრა მისასალმებელი სიტყვით გახსნა რაიონის მშრომელთა დეპუტატების აღმასკომის თავმჯდომარემ ვ. ხუჯაძემ. დამსწრეთ სიტყვით მიმართა ვეტერანმა კომკავშირელმა ნ. სიმონგულოვმა, თერჯოლის ხეხილის სანერგე მეურნეობის მუშამ ე. უფფანმა, ბანაკის პიონერმა თამილა მაჭავარიანმა, რუფოთის მეგვნახეობის საბჭოთა მეურნეობის ეტეერანმა მუშამ ვ. ნემსაძემ, კომკავშირის თერჯოლის რაიკომის პირველმა მდივანმა ი. ზარნაძემ, რაიონის მშრომელებს ბანაკის გახსნა მიულოცა მწერალმა, ჟურნალ „განთიადის“ რედაქტორმა გ. ფანჯიკიძემ.

— **მაღლობას** ვუხდი დამსწრეთ ყურადღებისათვის, ხოლო ორონენტებს — ჩემი ნაშრომის დაწერილებით რეცენზიებისათვის. განსაკუთრებით სასარგებლოდ მიმაჩნია კრიტიკული შენიშვნები, რომლებსაც აუცილებლად გავითვალისწინებ შომავალი კვლევის დროს...

ამ სიტყვებით დაამთავრა თავისი გამოსვლა სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომაზე მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულმა 24 წლის ალექსანდრე სუვოროვმა.

თითქოს ჩვეულებრივი დაცვა სადიპლომო ნაშრომისა! მაგრა შეაფასა სენსაციამ?

საქმე ის გახლავთ, რომ ალექსანდრე და მისი სამი ამხანაგი, რომლებმაც ამავე დღეს დაიცვეს დიპლომები, — სერგი სოროკინი, ნატაშა კორნეევა და იური ლერნერი ბრძენი და... ყრუ-მუნჯები არიან. დიახ, ყრუ-მუნჯები. ხოლო მეტყველება, რომელიც აბსოლუტურად სწორი და მკაფიოა, ხელოვნურად დაუყენეს.

როცა მათ უსმენ, ძნელი დასაჯერებელია, რომ 15 წლის წინათ, როცა მოსკოვის ოლქის ქალაქ ზაგორსკის ყრუ-მუნჯ ბავშვთა უნიკალურ სახლში მიიღეს, მათ ვერაფერით ვერ აგებინებდნენ ისეთ მარტივ ცნებებს, როგორიცაა „კოვზი“, „სკამი“, „სოფლი“. მთავარი იყო მათთვის ადამიანური ფსიქიკა ჩამოყალიბებინათ...

დიდი უბედურება დაატყდათ თავს ამ ბავშვებს. სრული ყრუ-მუნჯობა და უსინათლობა — ეს აბსოლუტური წყვდიადი და სიჩუმეა...

როგორ გნებავთ შეაფასოთ იმ მეცნიერთა, პედაგოგთა და აღმზრდელთა შრომა, რომლებმაც ეკისრეს მისი დაკმაყოფილება, რომ ყრუ-მუნჯ-ბრმათა ცხოვრება უაზრო არ არის, რომ მათ შეუძლიათ განვითარების მაღალ დონეს მიაღწიონ! და აი პირველი შედეგი...

ეს ოთხი ახალგაზრდა ადამიანი სულ სხვადასხვა ხასიათისაა. სერგი მშვიდი, დინჯი და ორგანიზებული; ალექსანდრე — ფიცხი, ენერგიული და ინიციატივიანი; ნატაშა — უჩვეულოდ



მდივანმა ქ. შარტავამ, მხურვალედ მიულოცა დამსწრეთ პიონერიული ქალაქის გახსნა და თერჯოლის პარტიისა და კომკავშირის რაიკომებს, რაიაღმასკომს გადასცა მისასალმებელი წერილი, ხოლო „საპოვნელას“ დირექტორს ლ. ბარბაქაძეს — საქართველოს კომკავშირული ქალაქის ბორის ძნელაძის სიმბოლური გასაღები წარწერით „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!“.

საქართველოს კომპარტიის თერჯოლის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. ბურჯანაძემ აღნიშნა, რომ რაიონის მშრომელებისათვის ამ გამჯანსაღებელი კომბინატის აშენება დიდი საჩუქარია. აქ დაისვენებენ კოლმეურნეთა შვილები, თაობა, რომლის აღზრდა ჩვენი უპირველესი მოვალეობაა. შემდეგ ა. ბურჯანაიამ მადლობის სიტყვები წარმოთქვა რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის მიმართ, რომლებმაც დიდი დახმარება გაუწიეს რაიონს. რათა აქ პიონერიული ქალაქი აშენებულიყო.

მიტინგის მონაწილენი მიემართებიან პიონერული ბაზისაკენ. მწკრივში დგანან რაზმეულები: „რომანტიკა“, „ნაადიული“, „მზიური“, „ცისარტყელა“, „თოლია“. რაზმეულთა დევიზებია: „რომანტიკული ალი გიგიგიზებს“, „ვიყოთ წყარო და ანკარა, ვით ნაკადული პატარა“, „დაე მუდამ იყოს მზე“, „ცისარტყელასავით ლამაზია ჩვენი ბავშვობა“, „ფრთათეთრი თოლია ბანაკსაც ჰყოლია“.

საზეიმოდ იხსნება ბანაკი. პატაკს იღებს ბანაკის დირექტორი ლ. ბარბაქაძე. ეჟერს საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სახელმწიფო ჰიმნები, აღმართულია საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალამი.

სტუმრები ათვალიერებენ ბანაკს. „საპოვნელა“ გათვალისწინებულია ორასორმოცი ბავშვისათვის, რომელთა განკარგულებაშია სამი თანამედროვე ტიპის სამსართულიანი შენობა, ოთახები სუფთა და ლამაზია. ეუთაისელ მეავეჯეებს საგანგებოდ უშრომიათ და მათი ნახელავი კოხტად გამოიყურება. ბანაკის ტერიტორიაზეა საცურაო აუზი, რომელშიც აქვე, სტუმართა თვალწინ ასპარეზობენ წყალბურთელები, სპორტული კომპლექსი შედგება ფრენბურთის, კალთბურთისა და ჩოგბურთის მოედნებისაგან.

სამი საცხოვრებელი კორპუსის გარდა, რომელიც ზემოთ გვხსენეთ, აქ არის ორასადგილიანი კუნძული, თანამედროვე სამზარეულო დანადგარებით აღჭურვილი სასადილო და ერთიც საყეურნეო კორპუსი.

„საპოვნელა“ — ზაფხულობით ბავშვთა სამყაროო, წლის დანარჩენ დროს კოლმეურნეთა დასასვენებელი სახლი იქნება და დამსვენებლები სიმონეთის ბალნეოლოგიური აბაზანებით ისარგებლებენ.

„საპოვნელას“ მშენებლობა 1975 წლის მაისში დაიწყო და უმოკლეს ვადებში დამთავრდა. მკვიდრად, ლამაზად ნაგები ბანაკი იმსახურებს, რომ მოვიხსენოთ მისი შემქმნელები. ესენი არიან საქართველოს სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ტრესტი № 2 (მმართველი — ა. დაუნუნაძიძე), თერჯოლის მექანიზირებული კოლონა № 4 (უფროსი — გ. გაბელაშვილი), სომუშაოთა მწარმოებელი გ. ზვიადაძე, მოწინავე მუშები ქ. ზარნაძე, ა. ბოჟორიშვილი, მ. სულამანიძე, ე. ბუცხრიკიძე, გ. სირბილაძე, შ. ჩხიკვაძე, რ. ზარნაძე...

ბანაკის იგები იყო ჩვენი რესპუბლიკის საქმიანი პასუხი სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის დადგენილებაზე „პიონერთა და მოსწავლეთა დასვენების ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

ამ საქმეში განსაკუთრებული მონდომება გამოიჩინა პარტიის თერჯოლის რაიკომმა.

ბანაკის საზეიმო გახსნაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი ნ. ჯითანავა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლომჭარაშვილი, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ზ. კვაჭაძე.

ო. ნიქაბაძე,
ზ. რცხილაძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

* * *

სურათებზე: ზემოთ მარცხნივ — „საპოვნელას“ მთავარი შესასვლელი; მარჯვნივ — ბანაკის გახსნის საზეიმო ცერემონიალი; ქვემოთ — მოწინავე მშენებლები (მარცხნიდან) დ. ნიკაბაძე, რ. ქვაჩაკიძე, ე. ბუცხრიკიძე, შ. ჩხიკვაძე, გ. ზვიადაძე (სამუშაოთა მწარმოებელი), რ. ზარნაძე, ო. კალატოზი, ე. ხირბილაძე, ა. შანიძე, ვ. ბოჟორიშვილი, ა. ბოჟორიშვილი და რ. მაჩიტაძე; პიონერთა ქალაქის საერთო ხედი.

ბ. ბაღლაფარიძისა და
ო. ბერეზიანიძის ფოტო.

ᲠᲔᲕᲘᲖᲘᲘᲗ ᲨᲗᲐᲑᲭᲓᲔᲑᲣᲚᲘ

ᲙᲐᲪᲗᲛᲝᲥᲕᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ და ჰუმანიზმის იდეა მუდამ ამშვენებდა და ამაღლებდა ქართული თეატრის ისტორიას. ეროვნულ ჩარჩოებს შორს გამცდარ რეპერტუარის ცოცხალ სინამდვილესთან უშუალოდ დაკავშირების ეფექტურობა განსაკუთრებითი სიძლიერით ლაფო მესხიშვილის სასცენო შემოქმედებაში გამოვლინდა. უნდა აღინიშნოს მესხიშვილისეული კაი გრაჯნი, თანამედროვეთათვის წარუძლელ შთამბეჭდაობით წარმოსახული ვინჩენცო მონტოს ამავე სახელწოდების პიესის მიხედვით განხორციელებულ სპექტაკლში.

ძმები გრაჯნები ძველ რომაელთა სახელოვანი ტრიბუნები იყვნენ. „კაი გრაჯნი უმიზეზოდ ხალხისათვის იბრძოდა და მისი მოხოლოგები, მესხიშვილის ცეცხლოვანი ტემპერამენტით ამეტყველებული, დიდი ოტრმობის „გიგანტალური რეპეტიციის“ დროს (ცხრაასხუთიანი წლები) რეალისტიკურ კოცონს ანთებდა ქუთაისისა და თბილისის თეატრის „ედელებში“ — აღნიშნულია ალაკი ფალავას ცნობილ მონოგრაფიაში.

დიდი ქართველი მსახიობის ეს სპექტაკლი სცენური სახე თაობათაგის სამწუხაროდ, მხოლოდ ფერგადასულ ფოტოსურათს შემოუნახავს. მით უფრო მასასალმებელია, რომ ნიჭიერმა ფერმწერმა ზურაბ ნიკორაძემ თავისი მადლიანი ფუნჯით ქართული თეატრის ისტორიის ეს საგულისხმო ფურცელი ასახა. მხატვრის ინტერპრეტაცია ღრმად ჩასწვდა მესხიშვილისეულად განცდილ გმირი-ტრიბუნის შინაგან სამყაროს, მისი ეტეხი ბუნების ამაღლებულ შინაარსს და ასე გამოხატა იგი თავის ახალ ნამუშევარში.

მ. ᲒᲘᲥᲘᲛᲣᲠᲔᲚᲘ.

სურათზე: მხატვარ ზ. ნიჟარაძის ნამუშევარი „ლ. მესხიშვილი გრაჯნის როლში“.

ᲒᲐᲖᲗᲘᲡ „ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲘᲣᲠᲘ ᲘᲜᲓᲣᲡᲢᲠᲘᲐᲡ“ ᲞᲠᲘᲖᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲛᲐᲘᲜᲪ ᲓᲘᲓᲘ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘ

ᲩᲕᲔᲜᲡ ქვეყანაში უკვე ოთხკერ გაიმართა გაზეთ „სოციალისტიჩესკაია ინდუსტრიის“ პრიზის გათამაშება რეგბიში. წინა სამ ასეთ საერთაშორისო ტურნირში არ უთამაშიათ დიდი ბრიტანეთის სპორტსმენებს, სადაც ეს საინტერესო სპორტი ძალიან დიდი პოპულარობითა და პატივისცემით სარგებლობს. ამ ძლიერი გუნდის გამოსვლამ თბილისის საერთაშორისო ტურნირში კიდევ უფრო გაზარდა ინტერესი რეგბისადმი. არავის ეშინია არ შეპარვია, რომ სწორედ დიდი ბრიტანეთის გუნდი იქნებოდა მთავარი პრიზის ძირითადი პრეტენდენტი. ისეც მოხდა, თუმცა საბჭოთა კავშირის პირველი გუნდი და ბრიტანელი სპორტსმენები „მხარდამხარ“ მიდიოდნენ გამარჯვებულთა კვარცხლბეკისაკენ, მაგრამ მეოთხე ტურში მასპინძლები რუმინელებთან დამარცხდნენ და გუნდიდან უკანასკნელი, მეხუთე ტურის წინ, შეჯიბრებას უკვე ბრიტანელი რეგბისტები ლიდერობდნენ. ყველა ინტერესით მოელოდა დიდი ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის პირველი გუნდის შეხვედრას, რომელიც გუშინ „ლოკომოტივის“ სტადიონზე გაიმართა.

პირველი ნახევარი მოიგო სსრკ-მრებმა ანგარიშით 12:9. მეორე ნახევრის შემდეგ მათ არ დაუთმიათ ინიციატივა და გაიმარჯვეს — 25:13.

რუმინეთის გუნდი რომ ერთ-ერთი საპრიზო ადგილის პრეტენდენტი გახლდათ, ესეც სრულიად აშკარა იყო. ბულგარეთის დინამოელებმა ტურნირის ბოლო დღეს მოუგეს პოლონელებს — 23:12. ჩეხოსლოვაკიის ნაკრებმა დაამარცხა სსრ კავშირის ახალგაზრდული გუნდი — 18:7.

ამრიგად, გაზეთ „სოციალისტიჩესკაია ინდუსტრიის“ პრიზი მოიპოვა დიდი ბრიტანეთის გუნდმა. ვერცხლის მედლები ხვდა რუმინელ რეგბისტებს, ბრინჯაოსი — სსრ კავშირის პირველი გუნდის სპორტსმენებს.

შ. ᲑᲐᲮᲢᲐᲫᲔ.

ᲐᲒᲠᲝᲜᲝᲛᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

	თ.	მ.	ფ.	ქ.
დიდი ბრიტანეთი	5	5	0	10
რუმინეთი	5	4	0	1	8
სსრ კავშირი-1	5	3	0	2	6
ჩეხოსლოვაკია	5	2	0	3	4
პოლონეთი	5	1	0	4	2
სსრ კავშირი-2	5	0	0	5	0

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲛᲐᲢᲩᲘ

ᲟᲔᲜᲔᲕᲐᲨᲘ სამივე „ტაამ-აუტი“ ერთად გამოიყენა უნგრელმა დიდოსტატმა ლაიოშ პორტიძემ მსმფლიოს პირველობის პრეტენდენტთა ნახევარფინალურ მატჩში ბორის სპასკისთან. გაიმართა მეთერთმეტე პარტია, რომელიც „ვლადიკინ“ ... მატჩში თანასწორობა არ დარღვეულა — 5,5:5,5.

— ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

ᲐᲒᲠᲝᲜᲝᲛᲘᲐ. სტამბოლის ნავსადგურის აკვატორიაში დამთავრდა ევროპის იემპიონატი „ფინის“ კლასის იახტებით ახალგაზრდებში. გაიმარჯვა ეისანელმა ო